საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

11/02/2022
N 09-02-16/64

64-09-02-16-2-202202111446

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ ზურაბ აზარაშვილს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, გვაცნობოთ:

1. თქვენთვის ცნობილია თუ არა რომ ქ. ბათუმში გოგოლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.29.17.054 და 05.29.17.075) უკანონოდ არის აშენებული შენობები, რომლებზეც არც მშენებლობის ნებართვაა გაცემული და არც ექსპლუატაციაშია მიღებული, სადაც ხორციელდება სამეწარმეო საქმიანობა, მათ შორის იქ საქმიანობენ ადამიანები. გთხოვთ გვაცნობოთ რამდენად კანონიერად ხორციელდება საქმიანობა, იღებთ თუ არა პასუხისმგებლობას იქ მომუშავე ადამიანების უსაფრთხოებაზე, რისკებსა და შესაძლო მძიმე შედეგებზე?

2. საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციით ქ. ბათუმში გოგოლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 05.29.17.054 და 05.29.17.075) ტერიტორიაზე კომპანიები ეწევიან უკანონო საქმიანობას, მათ შორის ეგრეთწოდებული ფიშინგი, აზარტული თამაშები, დაწყებულია გამოძიება ტრეფიკინგზე და სხვა, ასევე იქ დასაქმებული არიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით. საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული უწყებები ვალდებული იყვნენ თუ არა შეესწავლათ ზემოაღნიშნული საკითხები, მათ შორის შრომითი უფლებები იყო თუ არა დაცული, მოხდა თუ არა შესწავლა, როდის და რა დაღვევები გამოვლინდა, ასევე რა რეაგირება განხორციელდა დღემდე.

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"